სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მისია და სტრატეგიული გეგმა

(პროფესიული განათლების მიმართულებით)

2026-2032

პრეამბულა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) განვითარების გზა და მიღწევები იქმნებოდა მისი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ჩამოყალიბებიდან 35 წლის განმავლობაში. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, თანამშრომლები და საუნივერსიტეტო საზოგადოება ამაყობს იმ მიღწევებითა და შედეგებით, რომელიც სამცხე-ჯავახეთში უმაღლესი საგანმანათლებლო კერის ჩამოყალიბებამ განაპირობა. დღეს სამხრეთ საქართველოში საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული მხარეების თანამშრომლობით შექმნილია სამეცნიერო კვლევის, უმაღლესი, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების ერთიანი სივრცე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ერთ-ერთი მზარდი და პროგრესზე ორიენტირებული რეგიონული უნივერსიტეტია. მაღალია საზოგადოების მოლოდინი უნივერსიტეტის მიმართ. მას ენდობა მხარის მულტიეთნიკური მოსახლეობა. მისი დანიშნულებაა საზოგადოების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა.

2026-32 წლების სტატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შემუშავებულია -საზოგადოების მოლოდინის და უნივერსიტეტის ფუნქციონირებაში ჩართული მხარეების ძალისხმევის საფუძველზე. სტარტეგიული გეგმის შინაარსში ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პერსპექტივები საგანმანათლებლო კუთხით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განვითარების სტრატეგია, სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები.

დოკუმენტი ეფუძნება უნივერსიტეტის SWOT და , ასევე 2019-25 წლების გეგმის კრიტიკული ანალიზს კრიტიკულ ანალიზს. განსაზღვრულია უნივერსიტეტის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, პასუხისმგებელი პირები, გასატარებელი ღონისძიებები და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესი შეფასების ინდიკატორებით.

2026-2032 წლების სტატეგიული განვითარების გეგმამ უნდა უზრუნველყოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის გაფართოება, სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტი, კვლევისა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია და ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერება საკუთარი ადგილის დამკვიდრების გზით. გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის მისიაში შესული ცვლილებების შესაბამისი მიზნები, ამოცანები, აქტივობები.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს ევროპული განათლებისა და კვალიფიკაციის დანერგვის ინიციატივებსა და ღონისძიებებს, მონაწილეობს ბოლონიის პროცესში და ხელმძღვანელობს ევროპული უნივერსიტეტების შესახებ დიდი ქარტიის პრინციპით.

სრტატეგია ეფუძნება წარსულსა და დღევანდელობას და უზრუნველყოფს საკუთარი ძალისხმევისა და რესურსების კონცენტრირება უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარებისათვის მომავალში.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (შემდგომში უნივერსიტეტი), რომლის ფუნქციონირებაც 30 წლის წინ ქალაქ ახალციხეში სულ სამი სპეციალობით დაიწყო, განვითარების წარმატებული გზა განვლო და დღეს უმაღლესი

განათლების სამივე საფეხურის პროგრამებს ახორციელებს ორ გეოგრაფიულ პუნქტში - ახალციხესა და ახალქალაქში. უნივერსიტეტს აქვს ამბიცია, იქცეს რეგიონში მძლავრ საგანმანათლებლო კერად, შესაბამისად უპასუხოს განათლების კუთხით ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს და ხელი შეუწყოს საქართველოში პროფესიული განათლების სისტების ეფექტიანად განხორციელებას. განსაკუთრებულია უნივერსიტეტის ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ. 2026-2032 წლების პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის შინაარსში ასახულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების განხორციელების, პროფესიული საგანმნათლებლო დაწესებულებების, პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილება, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო - ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პერსპექტივები პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია, სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები, პარტნიორი ორგანიზაციების, დამსაქმებლების საჭიროებები და მოსაზრებები. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სტატეგიამ უნდა უზრუნველყოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამების სათანადო ხარისხით შემუშავება-განხორციელება, რეგიონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადება-გადამზადება, პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გაფართოება, უნივერსიტეტის, როგორც პროფესიული განათლების განმახორციელებლის, ავტორიტეტის გამყარება, უნივერსიტეტის რესურსის გამოყენება პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების უზრუნველყოფაში. სტრატეგიის მიზანია უნივერსიტეტი იქცეს საგანმანათლებლო სივრცედ, სადაც შესაძლებელია განათლებისა და კარიერული ზრდის დაგეგმვა უწყვეტი განათლების შესაძლებლობით. დოკუმენტი ეფუძნება უნივერსიტეტის SWOT და წინა გეგმების კრიტიკულ ანალიზს პროფესიული განათლების მიმართულებით. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში განსაზღვრულია პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, პასუხისმგებელი პირები, გასატარებელი ღონისძიებები და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესი შეფასების ინდიკატორებით.

1. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია

უნივერსიტეტის დაარსება

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1990 წელს დაარსდა, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, თავიდანვე ფართო გეგმებს ისახავდა მიზნად. მისი შექმნა განაპირობა აღმავალი ეროვნული მოძრაობის საფუძველზე ჩამოყალიბებულმა საერთო საზოგადოებრივმა აზრმა.

სხვადასხვა დროს თსუ ახლციხის ფილიალს ერქვა მესხეთის ფილიალი, ახალციხის ინსტიტუტი, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი და 2014 წლიდან გახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განვლილი პერიოდის განმავლობაში ახალციხეში საუნივერსიტეტო ცხოვრება სამხრეთ საქართველოს განუყოფელ ნაწილად იქცა, ამიტომ უდავოა, რომ უნივერსიტეტის განვითარება პრინციპულია რეგიონისათვის და საერთოდ, ჩვენი ქვეყნისათვის.

თსუ ახალციხის ფილილის შექმნა განპირობებული იყო რეგიონის განვითარების, ახალგაზრდობის ადგილზე დაკავებისა და იმ დემოგრაფიული დისბალანსის აღმოსაფხვრელად, რომელიც წარმოიქმნა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ამ კუთხეში. ახალციხის ფილიალმა გაუძლო დროის გამოცდას მაშინ, როდესაც მასთან ერთად სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა კიდევ შვიდმა საგანმანათლებლო ერთეულმა შეწყვიტა არსებობა. 2002 წელს ახალციხის ფილიალის წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა ახალქალაქში უმაღლესი დაწესებულების ჩამოყალიბება.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის III და IV კორპუსები (ახალქალაქი)

მეოცე საუკუნის ბოლოს თსუ ახალციხის ფილიალში 3 000-მდე სტუდენტი სწავლობდა, მათ შორის იყვნენ სტუდენტები ჯავახეთიდან. ფილიალი თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობას. 1995 წლიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა, რომ გახსნილიყო ქართული უმაღლესი სასწავლებელი ჯავახეთში. დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ახალქალაქისა და ნინოწმინდის ხელმძღვანელობასთან, საზოგადოებასთან, რომლის საფუძველზე **2002 წელს თსუ-ს დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა თსუ ჯავახეთის ფილიალი.** ახალქალაქში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა განსაზღვრა მესხეთის ფილიალმა, როგორც კადრების თვალსაზრისით, ისე ფსიქოლოგიურ-მორალურად. ჯავახეთის ფილიალის უმთავრესი დანიშნულება იყო ქართულ-სომხური პედაგოგიური კადრების მომზადება და ეკონომიკური განათლება. იყო პერსპექტივა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ამასთანვე იგი უნდა ქცეულიყო ბილინგვური სწავლების მომზადებისა და განვითარების ცენტრად. ორი საგანმანათლებლო, საუნივერსიტეტო დაწესებულების შექმნა იყო დიდი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 3 ოქტომბრის №416 დადგენილენით ჩატარდა რეორგანიზაცია და ამ ორი დაწესებულების ადგილზე შეიქმნა არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი განთავსდა 70 კმ-ით დაშორებულ ორ ქალაქში, რაც მისი ცხოვრების და არსებობის სპეციფიკას განსაზღვრავს. **2024 წელს დასრულდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის ფინანსური მხარდაჭერით IV კორპუსის რეაბილიტაცია, კეთილმოეწყო საერთო საცხოვრებელში პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სივრცე. IV კორპუსი სრულად მოემსახურება პროფესიულ განათლებას, რაც ჯავახეთში მას პროფესიული განათლების მიღების უალტერნატივო სივრცედ აქცევს.**

2. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვა, მისია, ღირებულებები

ხედვა:

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვაა არსებული გარემოსა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალისხმევისა და რესურსების კონცენტრირებით – საქართველოს და უახლოესი მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებთან მჭიდრო აკადემიური, სამეცნიერო კონტაქტების საფუძველზე და ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების გზით შექმნას კონკურენტუნარიანი ახალი ცოდნა;

განავითაროს განათლების, სოფლის მეურნეობის (აგრარული, ვეტერინარული) დარგები, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებანი. უზრუნველყოს რეგიონი იურიდიული, საჯარო მმართველობის, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკური განათლებით შეიარაღებული კადრებით.

ასევე მოამზადის სპეციალისტები პროფესიული განათლების საფეხურზე ჯანდაცვის, ელექტროობა-ინჟინერიის მიმართულებით “.

მისია:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მხარის უპირველესი უმაღლესი დაწესებულება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1990 წელს დაარსებული ახალციხის ფილიალისა და 2002 წელს დაარსებული ჯავახეთის ფილიალის სამართალმემკვიდრე.

იგი აგრძელებს ისტორიული მესხეთის (ტაო-კლარჯეთის) უძველესი საგანმანათლებლო ცენტრების ეროვნულ-იდეურ მემკვიდრეობას თანამედროვე საუნივერსიტეტო ტრადიციების შექმნისა და ჩამოყალიბების საშუალებით.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობით, ცოდნისა და ტექნოლოგიის ტრანსფერის მეშვეობით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითრებაში;

უზრუნველყოს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე;

დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში, დაამკვიდროს და განავითაროს სამშვიდობო განათლების პრიციპები საუნივერსიტეტო სივრცეში. ;

აღზარდოს მაღალზნეობრივი, დემოკრატიული და ჰუმანური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები, რაც განაპირობებს ენის, კულტურის, ინტელექტის განვითარების უწყვეტობასა და უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან შერწყმას.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაში ნათლად არის გაცხადებული პროფესიული განათლებისადმი დამოკიდებულება. მისიის განაცხადის თითოეული პუნქტი გულისხმობს პროფესიული განათლების განვითარებას და შეესაბამება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნებს. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში; უმაღლესი განათლების გვერდით უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამების შემუშავება-განხორციელება გაზრდის ერთი მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების ფართო ფენების ხელმისაწვდომობას განათლებაზე, მათ ჩართვას რეგიონის, შესაბამისად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. უზრუნველყოს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე; ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით უზრუნველყოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება; დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში; პიროვნების პროფესიული განვითარება საფუძვლად დაედება ამავე პიროვნების დასაქმებას, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებას. ხელშეწყობა როგორც რეგიონში მცხოვრები ქართველი, ისე სომეხი მოსახლეობისთვის, ერთიანი საგანმნათლებლო და დასაქმების სივრცე ინტეგრაციული პროცესების სერიოზულ ხელშემწყობ ფაქტორებად იქცევა; აღზარდოს მაღალზნეობრივი, დემოკრატიული და ჰუმანური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები, რაც განაპირობებს ენის, კულტურის, ინტელექტის განვითარების უწყვეტობასა და უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან შერწყმას; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებისათვის, რეგიონის მულტიკულტურული და მულტიეთნიკური მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენაზე პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით იქცევა თაობების აღზრდის საფუძვლად.

ღირებულებები:

უნივერსიტეტის ფუნქციონირების საფუძველსა და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სამი მთავარი ღირებულება:

- **თავისუფლება,**
- **ეროვნულობა,**
- **ტოლერანტობა.**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია შემუშავებულია 35-წლიანი არსებობის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე.

პროფესიული განათლების განვითარების ხედვა:

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ხედვიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების განვითარების პერსპექტივებად მოიაზრება საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კვალიფიციური კადრების მომზადება სამცხეჯავახეთისთვის ისეთ პრიორიტეტულ სპეციალობებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, საკვები პროდუქტების გადამუშავება და სხვა, ამის მისაღწევად უნივერსიტეტი შექმნის პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემას, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებელების მონაწილეობის ხელშეწყობას, მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება-შერჩევას. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის გზით, პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვითა და მათი დასაქმების ხელშეწყობით უნივერსიტეტი თავის როლს შეასრულებს ახალგაზრდა კადრების რეგიონიდან მიგრაციის შეფერხების პროცესში.

3. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები

უნივერსიტეტის მიზანი, ამოცანები

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის მიმართულებების განსაზღვრას საფუძვლად დაედო სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამების შექმნისა და განხორციელების გამოცდილება და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოები, საქმიანობის შედეგების ანალიზი, სტუდენტებთან, პერსონალთან, ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, დამსაქმებლებთან, პარტნიორებთან გამართული შეხვედრები, კონსულტაციები და ანგარიშები, უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა ასევე ემყარება ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, სწავლების უახლესი მიდგომებით უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, რადგან ისინი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს მიიღოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება და/ან გადაემზადოს მოქნილი მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების მეთოდით და წარმატებით იპოვოს თავისი ადგილი, დასაქმდეს როგორც თავის რეგიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გახდეს კონკურენტუნარიანი და მოტივირებული, დაგეგმოს საკუთარი მომავალი. მათი გათვალისწინებით სტრატეგიის ამოცანებია: პროფესიონალი კადრების მომზადება და განვითარება; პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული ადამიანური რესურსების მოზიდვა/განვითარება, პროფესიულ მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლება; პროფესიული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლა-სწავლებაში თანასწორობისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა;

პროფესიული განათლების მდგრადობისთვის ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა;

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია; საერთაშორისო ურთიერთობა და თანამშრომლობა უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა; სამთავრობო სტრუქტურებთან, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან, აგრეთვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო კონტაქტი და კონსტრუქციული ურთიერთობა; შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

4. სტრატეგიული ანალიზი

სტრატეგიული ანალიზი მოიცავს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირება-განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების, ასევე შედარებით (ანუ სხვა უნივერსიტეტების საქმიანობის) ანალიზს. შიდა ფაქტორების ანალიზი მოცავს შიდა ორგანიზაციული საქმიანობის, ხოლო გარე ფაქტორების ანალიზი კი ეკონომიკური, იურიდიული, სოციალური, დემოგრაფი ული, პოლიტიკური და საერთაშორისო ფაქტორების ანალიზს.

ძლიერი მხარეები

პროფესიული პროგრამების განხორციელების გამოცდილება;

პროფესიული განათლების მიმართულებებზე ორიენტირება;

პროფესიული მასწავლებლის მომზადების შესაძლებლობა;

პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა;

დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან წარმატებული ურთიერთობების გამოცდილება;

პერსონალის განვითარებაზე ორიენტირება, სიახლეების მიღებისა და დანერგვის მზაობა;

ორ გეოგრაფიულ პუნქტში მდებარეობა და მატერიალური ბაზის სრულყოფისათვის საჭირო ტერიტორიის (სივრცის) ფლობა;

კრიზისული წინააღმდეგობებისა და პრობლემების დაძლევის გამოცდილება.

-გასაუმჯობესებელი მხარეები

ავტორიზებული პროგრამების სიმცირე;

პროფესიული პროგრამების ნაკლები პოპულარიზაცია;

ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის ხარისხი;

გარკვეულ დარგებში კადრების ნაკლებობა;

ძვირადღირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერიოდული განახლების საჭიროებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მოძიების სირთულე;

შესაძლებლობები

სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული, ენობრივი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კულტურული კონტექსტი;

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბებული პარტნიორული ურთიერთობების გამოყენება ახალი და /ან ერთობლივი პროფესიული პროგრამების შექმნისათვის;

სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, სამცხე-ჯავახეთის სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სტრუქტურებთან თანამშრომლობა და უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის ადგილობრივ თვითმმართველობასთან კონტაქტების გააქტიურება; ფინანსური რესურსის მოძიების გზების დივერსიფიცირება როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურების გზით.

საფრთხეები დემოგრაფიული პრობლემები და, შესაბამისად, აპლიკანტთა სიმცირე; საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი;

მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი; კონკურენციის გამძაფრება.

არსებული სიტუაციის ანალიზი და გამოწვევები

საქართველოს ბოლონიის პროცესთან მიერთების შემდეგ დაწყებული რეფორმები დღესაც გრძელდება და მოითხოვს საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან მუდმივ მზაობას ახალი გამოწვევების წინაშე. სსიპ - სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ორგანული

ნაწილია. შესაბამისად, უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის ადეკვატურია. ამჟამად განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა, რომელიც ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის ახალი სტანდარტების დამკვიდრებას გვთავაზობს, მოითხოვს არსებული სიტუაციისა და იმ გამოწვევების სრულ ანალიზს, რომლის წინაშეც სსიპ - სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტია. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მდებარეობს ორ ქალაქში - ახალციხესა და ახალქალაქში, აქტიურად თანამშრომლობს მხარის ადმინისტრაციასთან, შეხვედრებზე განიხილება რეგიონისა და უნივერსიტეტის პრობლემები, იგეგმება და ხორციელდება უნივერსიტეტის განვითარების ახალი მიმართულებები, პროგრამები. უნივერსიტეტის სამი პროფესორი არის ახალციხის მუნიციპლიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ერთი პროფესორი - ახალციხის საპატიო მოქალაქე. samcxe-javaxeTis saxelmwifo universiteti სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი-ერთი უმთავრესი ღირებულებაა ტოლერანტობა, რაც გამოხატულია ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან შემწყნარებლური სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებით. უნივერსიტეტს ენდობა მხარის მრავალკონფესიური მოსახლეობა. ჩვენთან სწავლობენ: მართლმადიდებლები, მუსლიმები, გრიგორიანელები, კათოლიკეები და სხვანი. რელიგიათა თანაცხოვრების მაგალითს იძლევა სსიპ - სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ადგილობრივ და რესპუბლიკურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტის სტუდენტები. ხორციელდება ერთობლივი პროექტები. უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის ქართული მოსახლეობის კატასტროფული შემცირების ფონზე ცდილობს დემოგრაფიული პრობლემის დასმას და გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას. ვცდილობთ, პირველ რიგში საკითხის თეორიულ სფეროში განხილვას და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნების გამოტანას. საამისოდ სამაგისტრო და სადოქტორო თემატიკაში უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია ისტორიული და ლინგვისტური, დიალექტოლოგიური პრობლემატიკა, ეროვნებათშორისი ურთიერთობანი. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობა, მისი ზეგავლენა მხარის მდგრად განვითარებაზე, უნივერსიტეტი სასიკეთო გავლენას ახდენს რეგიონის კულტურულ ცხოვრებაზე. მისი ზეგავლენით იცვლება საზოგადოებრივი მენტალობა განათლების, ტოლერანტობის და ურთიერთპატივისცემის მიმართულებით. უნივერსიტეტის ჩართულობა რეგიონის ცხოვრებაში ვლინდება ყოველდღიური ფუნქციონირების პროცესში, რეგიონის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, მათი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების შემუშავებაში ჩართვის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების და სხვადასხვა პროექტის განხორციელების მიზნით. როგორც საერთოდ ქვეყანაში, სამხრეთ საქართველოშიც მაღალია მიგრაციის მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია სამუშო ადგილების ნაკლებობით და ჩვენი ახალგაზრდობის ადგილზე დაუსაქმებლობით. აგრარული მიმართულების და ვეტერინარული განათლების გაძლიერება საშუალებას მოგვცემს, დავასაქმოთ ჩვენი ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ხელი შევუწყოთ ფერმერული და სასოფლოსამეურნეო საქმიანობის გაძლიერებას, რაც მიგრაციული პროცესების შეჩერების ერთ-ერთი საშუალება იქნება. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების გაძლიერება. პროფესიულ სასწავლებლებთან ურთიერთობით ხდება შრომის ბაზრის ერთობლივი გაანალიზება და სპეციალობების დუბლირების თავიდან აცილება. სერიოზულ გამოწვევად რჩება გამძაფრებული კონკურენცია, რასაც უნივერსიტეტი პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული საქმიანობებით: სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგით, ახალი და მარავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, განათლების უწყვეტობის შეთავაზებით, პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმებით გაუმკლავდება. პროფესიული განათლების პრიორიტეტები იმისათვის, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სათანადოდ უპასუხოს პროფესიული განათლების განვითარების კუთხით არსებულ გამოწვევებს, გაზარდოს საკუთარი

საქმიანობის ეფექტურობა, სწავლების ხარისხი, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ

5. პრიორიტეტები

იმისათვის, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სათანადოდ უპასუხოს არსებულ გამოწვევებს, გაზარდოს საკუთარი საქმიანობის ეფექტურობა, კვლევისა და სწავლების ხარისხი, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კმაყოფილების დონე და, ამავდროულად, უფრო მდგრად, სანდო და კონკურენტუნარიან ინსტიტუციად იქცეს, მისი სტრატეგიული განვითარება უნდა დაეფუძნოს შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს:

- **ინტერნაციონალიზაცია;**
- **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლის გაძლიერებას რეგიონში**

ეს ორი პრიორიტეტი განაპირობებს სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებას და ქმნის უნივერსიტეტისთვის ახალ შესაძლებლობებს.

6. სტრატეგიული მიმართულებები

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებები გამოკვეთილია იმის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძლიერი მხარეები მის განსავითარებლად. სტრატეგიული მიმართულებები, მათი მიზნები და ამოცანები სრულად შეესაბამება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას.

გამოიყოფა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

- **სწავლება-სწავლა;**
- **რესურსები და მართვის სისტემა;**
- **ინტერნაციონალიზაცია და წვლილი საზოგადოებაში (მესამე მისია)**

სტრატეგიული მიმართულებება - სწავლა-სწავლება

პროფესიული განათლებაში სწავლა–სწავლება უნდა გახდეს ასევე სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პროცესი, ანუ უნივერსიტეტმა პროფესიულ სტუდენტს უნდა შეუქმნას ზუსტად ისეთივე სასწავლო გარემო, როგორც უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე. საყრდენად არჩიოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლება. უნივერსიტეტი ერთ მთლიან პროცესად განიხილავს და რესურსებს მიმართავს პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაარსებობით, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობით განათლების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის საგრძნობად გაზრდა. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, მომზადდა ახალი პროგრამები, ცვლილები ძალიან სწრაფად მინდინარეობს, შესაბამისად, მიმდინარეობს პროგრამების ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, ახალ. საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, იქმნება ახალი წესები და რეგულაციები. პარალელურად მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლების სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან უნივერსიტეტი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პერიოდის ვადებში პროგრამებს განიხილავს შემდეგი პრიორიტეტულობით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; მომზადება-გადამზადების პროფესიული პროგრამები; საშუალო საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ინტეგრირებული; დუალური პროფესიული პროგრამები.

სტრატეგიული მიმართულება - რესურსები და მართვის სისტემა

ადამიანური რესურსი

დასახული სტრატეგიული მიმართულების მთავარი პრიორიტეტი ადამიანური რესურსების ხელშეწყობაა. პროფესიული განათლების კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ 2026 წლამდე პერიოდი უნდა იქცეს ადამიანური რესურსის მოძიებისა და მომზადება-გადამზადების პერიოდად. უნივერსიტეტის ამოცანებში განსაზღვრულია კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი შესაძლებლობებისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება. ამ მიმართულებით პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებისას ბევრად მეტია გასაკეთებელი, ვინაიდან არ არსებობს ცალკე სტრუქტურა და ხშირად თანამშრომლებს შეთავსებული აქვთ უმაღლესი და პროფესიული განათლება ერთდროულად. უნივერსიტეტი ეფუძნება გამჭვირვალობის, თანასწორობის, სამართლიანობისა და მრავალფეროვნების პრინციპებს. ისეთ მულტიკულტურულ გარემოში, რომელშიც ფუნქციონირებს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მნიშვნელოვანია, მიუხედავად ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების, თუ სოციალური წარმომავლობისა, ყველასთვის თანაბარი პირობების შექმნა, ნათლად ჩამოყალიბებული და ფართოდ ხელმისაწვდომი

ფინანსური და მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის განვითარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის გამართულობას. შეზღუდული რესურსების პირობებში უნივერსიტეტი ხშირად დგება გონივრული არჩევანის გაკეთების აუცილებლობის წინაშე და მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღება. ყოველი საბიუჯეტო გადაწყვეტილება განსაზღვრული პოლიტიკის გატარებას ნიშნავს, რადგან ფინანსური სახსრები, უპირატესად, შეიძლება წარიმართოს სხვადასხვა ღონისძიების დასაფინანსებლად, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული პროგრამების განხორციელების საგანმანათლებლო პროცესს. უნივერსიტეტის მთავარ გამოწვევად რჩება ფინანსური სისტემის მდგრადობა. უნივერსიტეტის, როგორც სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, დაფინანსების წყაროებია: სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით; საერთაშორისო გრანტით მიღებული შემოსავლები; საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ ერთეულებზე აბიტურიენტთა მიღების წახალისების მიზნით გამოყოფილი სპეციალური სახელმწიფო- საბიუჯეტო პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება; უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს ფინანსური შემოსავლების დივერსიფიცირება, რაც ახალი წყაროების მოძიებასთან ერთად საკუთარი რესურსის ეფექტიანად გამოყენებას უნდა დაეფუძნოს. სტრატეგიული მიმართულება მატერიალური რესურსის განვითარება, რაც გამჭოლი საჭიროებაა ყველა სტარტეგიული მიზნის, ამოცანისა თუ ქვეამოცანის შესასრულებლად, რასაც ეფუძნება ნებისმიერი შეფასება და ყოველთვის ძირითადი ინდიკატორია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისთვის, ისახავს მიზნად ტექნოლოგიების პროგრესის ადეკვატურად მატერიალური რესურსის შექმნასა და დახვეწას, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ჩართულობასა და უახლესი მეთოდებით სწავლებას უზრუნველყოფს. samcxe-javaxeTis saxelmwifo universiteti უნივერსიტეტს ახალციხესა და ახალქალაქში აქვს საჭირო ტერიტორია საიმისოდ, რომ დააკმაყოფილოს პროფესიული პროგრამებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ნებისმიერი საჭიროება. მართვის სისტემა დღეისათვის უნივერსიტეტში არსებული მართვის სისტემა ეფუძნება ავტონომიურობას, გამჭვირვალობას, სუბორდინაციასა და ინიციატივაზე დაფუძნებულ მიდგომებს. გადაწყვეტილების

ინიცირება ხდება ფაკულტეტის საბჭოზე და აქედან გამომდინარე უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ჩართულობა. შესაბამისად, მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში ბოლო წლებში დაწყებული დეცენტრალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავება. ის რომ მართვის სისტემა ცალკე სტრატეგიული მიმართულებად ცამოყალიბდა, დიდწილად განაპირობა იმან, რომ უნივერსიტეტში დღემდე არ არსებობს ცალკე სტრუქტურა პროფსიული განათლების სამართავად. სტრატეგიულ დონეზე შემდეგი მიზნები გამოიყოფა: სტრუქტურის შექმნა/მოდერნიზაცია, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა და მართვის სისტემა, რომელიც პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულია მოდერნიზება. მოდერნიზაციის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადმინისტრაციული და მმართველობითი სამსახურების მეტი ეფექტიანობა და მაღალი ეფექტურობა ხარჯების სწორად გადანაწილებით. ამ ეტაპზე უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროფესიული პროგრამების განხორციელების ოპტიმალური ორგანიზაციული სისტემა.

❖ სტრატეგიული მიმართულება - **ინტერნაციონალიზაცია და წვლილი საზოგადოებაში (მესამე მისია)**

ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უპირობო პრიორიტეტია, შესაბამისად, იგი გამოიყოფა, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება. ამ მიმართულებით დაგეგმილმა და განხორციელებულმა საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს კვლევისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას საერთაშორისო მობილობას, საერთაშორისო აღიარებასა და ნდობის განმტკიცებას, მიახლოებას ევროპულ სტანდარტებთან, უნივერსიტეტის ცნობადობას, საერთაშორისო პროექტებში მის მონაწილეობას, წარმოჩენასა და ჩართვას, საერთაშორისო რესურსებისა და გამოცდილების გაზიარებას უცხოელი პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების მოზიდვის ხელშეწყობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთობების შენარჩუნება მუდმივ პარტნიორებთან საქართველოში და ამ ურთიერთობების გაფართოება. ამ სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციის - სოციალური პასუხისმგებლობის სათანადოდ შესრულება. პროფესიული განათლების მიმართულებით უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს და გამოიყენოს საკუთარი რესურსი, აუცილებელი იქნება ახალი კონტაქტები, განსაკუთრებით პროფესიული პროგრამების მიმართულებით.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტია, რომელიც აღიარებს მესამე მისიას, რაც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ჩართულობას. ამ სტრატეგიული გეგმის მიზანი არის სჯსუ-ს მესამე მისიის გაძლიერება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან აქტიურ თანამშრომლობას, რეგიონალური განვითარების ხელშეწყობას და გრძელვადიანი პარტნიორობას.

მესამე მისიის აქტივობების კლასიფიცირება ძირითადად ხდება კვლევასთან მიმართებით (ტექნოლოგიის ტრანსფერი და ინოვაცია), სწავლებასთან მიმართებით (მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა) და საზოგადოების სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში უნივერსიტეტის ჩართულობასთან მიმართებით. აქვე აღსანიშნავია, რომ არ არსებობს უნივერსალური მიდგომა მესამე მისიის დანერგვასთან მიმართებით. თითოეული უნივერსიტეტი მესამე მისიის განსხვავებულ აქტივობებს ახორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოს და ამასთან, უნივერსიტეტის რესურსისა და შესაძლებლობის თავისებურებების გათვალისწინებით მოხდეს უნივერსიტეტის მესამე მისიის აქტივობების განსაზღვრა, დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.

სტრატეგიული მიზნები, დასახული ამოცანები და მათი მიღწევის გზები

1.სტრატეგიული მიმართულება - სწავლა /სწავლება

სტრატეგიული მიზანი 1. პროფესიული განათლების მდგრადობისა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა

ამოცანა 1.1 სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ამოქმედება

- პროფესიული განათლების მიმართულებით სტრუქტურული ერთეულის გაძლიერება ახალქალაქში და შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფა უზრუნველყოფა;
- პროფესიული განათლების სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფისათვის ფინანსური რესურსის მოძიება.

ამოცანა 1.2 უნივერსიტეტის რეგულაციებში პროფესიული განათლების სიახლეების ასახვა კანონმდებლობის შესაბამისად

- პროფესიული განათლების წესებისა და რეგულაციების დანერგვის ხელშეწყობა;

ამოცანა 1.3 პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო/გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება

- პროფესიულ პროგრამებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონისათვის პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება და პროგრამის ტიპის განსაზღვრა;
- პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება;
- კავშირების გააქტიურება ბიზნესთან, დამსაქმებლებთან და პარტნიორებთან ერთად დუალური პროგრამების განვითარებისათვის. ამოცანა

1.4 მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების განხორციელება

- უწყვეტი განათლების განვითარების მიზნით მრავალფეროვანი და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულები, კურსები) განხორციელება;

2. სტრატეგიული მიმართულება სტრატეგიული მიმართულება - რესურსები და მართვის სისტემა

სტრატეგიული მიზანი 2. ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 2.1.: პერსონალის პროფესიული განვითარებისადმი სისტემური მიდგომის უზრუნველყოფა

- პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგ-კურსების, პროგრამების, უცხოური ენობრივი და ციფრული კომპეტენციების განვითარება და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის შეფასების მოქნილი მექანიზმის შექმნა/ამოქმედება;
- კარიერული განვითარების წახალისება, პროფესიული მასწავლებლების დაფასება, აღიარება და დაჯილდოების მექანიზმების შექმნაამოქმედება

სტრატეგიული მიზანი 3.: მატერიალური და ფინანსური რესურსის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 3.1 საგანმანათლებლო გარემოს, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/გაუმჯობესება და თანამედროვე პროფესიულ სტანდარტებთან მისადაგება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

- საბიბლიოთეკო რესურსის გამრავალფეროვნება და გაციფრულება;
- პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლების ინფორმირება ხელმისაწვდომ საბიბლიოთეკო რესურსებზე; ▯ აუდიტორიების აღჭურვა-განახლება (შესაბამისი ტიპის გარემოს შექმნა);
- ლაბორატორიების შექმნა/აღჭურვა; ▯ უწყვეტი ინტერნეტმომსახურების უზრუნველყოფა და ელექტრონული სასწავლო რესურსის გაუმჯობესება.

ამოცანა 3.2 პროფესიული საგანმანათლებლო გარემოს, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/გაუმჯობესება პროფესიული სტუდენტური ცხოვრების გასააქტიურებლად

- პროფესიულ სტუდენტთა სპორტული და კულტურული ღონისძიებებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- პროფესიულ სტუდენტთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქ. ახალციხესა და ქ. ახალქალაქში საერთო საცხოვრებლის ამოქმედება;

ამოცანა 3.3. უნივერსიტეტის ფინანსური რესურსის განვითარება

- ფინანსური რესურსის მოძიების მექანიზმების შექმნა/გააქტიურება. ▯ უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზანი 4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლება

ამოცანა 4.1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით შეფასების მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება

- უნივერსიტეტის მისიასთან პროფესიული პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება;
- პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების სრულყოფა;
- პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემური შეფასების მექანიზმის ამოქმედება.

ამოცანა 4.2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დახვეწა;
- ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმატიული მოთხოვნების, ასევე მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანი სისტემის შექმნა/ამოქმედება;
- შეფასების სისტემისა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმის გააქტიურება;

ამოცანა 4.3 შეფასების გარე მექანიზმებისთვის უნივერსიტეტის მომზადების პროცესის სისტემატიზაცია.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციასთან დაკავშირებული პროცესების დაგეგმვა/მართვა;

სტრატეგიული მიზანი 5. პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული მართვის სისტემის გაძლიერება

ამოცანა 5.1 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს გაუმჯობესება

- პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტების დახვეწა;
- პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა და ბაზების სრულყოფა;
- პროფესიულ სტუდენტთა სერვისების დახვეწა-გააქტიურება.

ამოცანა 5.2. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა

- პროფესიულ სტუდენტთა სტაჟირების ხელშეწყობა;
- პროფესიული სტუდენტების ინიციატივების, პროექტების მხარდაჭერის გაძლიერება;
- პროფესიული სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო სტიპენდიების შეთავაზება;

ამოცანა 5.3 პროფესიული სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების ხელშეწყობა

- პროფესიული სტუდენტებისთვის კურიკულუმს გარეთ ღონისძიებების გააქტიურება;
- პროფესიული სტუდენტური კლუბების საქმიანობების ხელშეწყობა და წახალისება;
- უნივერსიტეტის სახელით სამთავრობო, კერძო და არასამთავრობო სექტორთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

3. სტრატეგიული მიმართულება - ინტერნაციონალიზაცია და წვლილი საზოგადოებაში (მესამე მისია)

სტრატეგიული მიზანი 6 : საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

ამოცანა 6.1 ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განახლება - გააქტიურება

ინტერნაციონალიზაციის პროცესის დანერგვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში;

უცხოური ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი 7. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის განხორციელება

ამოცანა 7.1 უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება/ამოქმედება არასამთავრობო, სამთავრობო და კერძო სექტორთან თანამშრომლობით

- საზოგადოების ინტეგრაციის ხელშემწყობი მექანიზმების გააქტიურება;
- პარტნიორებთან თანამშრომლობით სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამების დაგემვა/განხორციელება;
- საქველმოქმედო და მოხალისეობრივი საქმიანობის დაგეგმვა/განხორციელება და მხარდაჭერა;
- ტოლერანტობისა და სხვა დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრების მიზნით ღონისძიებების გააქტიურება.

სტრატეგიული მიზანი 8. სოციალური ჩართულობის გაზრდა:

***ამოცანა 8. 1 უ*ნივერსიტეტის გააააქტიურება ადგილობრივი და რეგიონული საზოგადოების საჭიროებებზე,**

- პარტნიორობის გააქტიურება ადგილობრივ ორგანიზაციებთან და მთავრობებთან.

- სკოლის პედაგოგებთან და სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებთან თანამშრომლობა მათი კარიერული განვითარების მხარდაჭერისთვის;
- ეროვნული უმცირესობების სკოლებთან თანამშრომლობა მულტიკულტურული განათლების პოლიტიკის ერთობლივად განსაზღვრის მიზნით, საზოგადოების ინტეგრაციის ხელშემწყობი მექანიზმების გააქტიურება;
- სამშვიდობო განათლების სატრენინგო პროგრამების შეთავაზება საზოგადოებისთვის

ამოცანა 8. 2 **სპეციალური პროგრამების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების შესაძლებლობებს პროფესიონალებისთვის და საზოგადოებისთვის.**

- უწყვეტი განათლების პროგრამების დაგეგმვა საზოგადოების ჩართულობით, რომელიც ეხმარება პროფესიონალების და
- სტუდენტების უნარების განვითარებას.

ამოცანა 8.3 . დამსაქმებლებთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავება

- დამსაქმებელთა ქსელის გაფართოების ხელშეწყობა;
- დამსაქმებლების ჩართვა ახალი საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვასა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დახვეწაში;
- დამსაქმებელთა გააქტიურება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში და პრაქტიკული შინაარსის მასტერ-კლასების ორგანიზება .

ამოცანა 8.4 უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა

- პროფესიული განათლების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სხვა საინფორმაციო რესურსების ეფექტიანობის გაზრდა;
- პროფესიული პროგრამების განმხორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და სკოლის მოსწავლეების ჩართულობით ღონისძიებების დაგეგმვა პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით;
- დამსაქმებლების ჩართვა ახალი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვასა და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დახვეწაში;
- დამსაქმებელთა გააქტიურება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში და პრაქტიკული შინაარსის მასტერ-კლასების ორგანიზება.

სტრატეგიული მიზანი 9. ეკონომიკური ინოვაციების მხარდაჭერა

ამოცანა 6.2.1 **ინოვაციური იდეების და სტარტაპების მხარდასაჭერად ინკუბატორული ცენტრების გახსნა**

- პროფესიონალებისთვის და საზოგადოებისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური გარემოს შექმნა, შეთავაზება
- გარემოსდაცვითი ინიციატივებისა და პროგრამების შექმნა/მხარდაჭერა, რომლებიც უზრუნველყოფს მდგრადობას და ეკოლოგიური ცნობიერების ზრდას.
- ეკოლოგიური განათლების პროგრამების შექმნა/შეთავაზება, რომლებიც მოსახლეობას დაეხმარება გარემოს დაცვის საკითხებში.

სტრატეგიული მიზანი 10. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია ორგანიზება

ამოცანა 10.1 **მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებების შემუშავება/განხორციელება**

- კულტურული ღონისძიებები, რომლებიც გამოავლენენ დაპოპულარიზაციას გაუწვდიან ადგილობრივ კულტურას და ტრადიციებს.
- საქველმოქმედო და მოხალისეობრივი საქმიანობის დაგეგმვა/განხორციელება და მხარდაჭერა;
- ქართული ისტორიისა და კულტურის გაცნობა-პოპულარიზაციის ღონისძიებების ორგანიზება;
- ტოლერანტობისა და სხვა დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრების მიზნით ღონისძიებების გააქტიურება.